ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- თებერვალში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.8% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- მარტში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 5.3%-ს გაუტოლდა, რაც ძირითადად განპირობებულია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდით.
- თებერვალში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 20.4%-ით, ხოლო ხარჯები 16.0%-ით გაიზარდა.
- თებერვალში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 43.5 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში.
- იანვარ – თებერვალში* ექსპორტმა 20.3%-ით, ხოლო იმპორტმა 9.0%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 2,898 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- თებერვალში* ფულადმა გზავნილებმა 372.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 50.3%) და ევროკავშირის ქვეყნები (24.5%) წარმოადგენდნენ.
- მარტში მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 5,004 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.
- თებერვალში*, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.
- მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.3%-ით, ხოლო ევროს მიმართ 2.7%-ით გამყარდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



2023 წლის თებერვალში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 5.8%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის თებერვალში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.8% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 2.1% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





2023 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 5.3%-ს შეადგენს.

წინა წლის მარტთან მიმართებით, 2023 წლის მარტში ინფლაციის დონე 5.3%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, ალკოჰოლურ სამელებსა და თამბაქოზე, სასტუმროებსა და რესტორნებზე, განათლებაზე, ავეჯზე და საოჯახო ნივთებზე და სხვა. მარტში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 5.0%-ით განისაზღვრა. 2023 წლის თებერვალში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 8.4% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



2023 წლის თებერვალში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის თებერვალში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 20.4%-ით, ხოლო ხარჯები 16.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 133.0 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 156.2 მლნ ლარით განისაზღვრა.





2023 წლის თებერვალში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის თებერვალთან მიმართებით, 2023 წლის თებერვალში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 2.7%-ით მოიმატა და 43.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 16.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 10.7%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.8%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 20.7% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.6% - მრეწველობის, 18.0% - მშენებლობის, 13.8% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.7% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



2023 წლის იანვარ-თებერვალში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

კერძოდ, ექსპორტმა 20.3%-ით, ხოლო იმპორტმა 9.0%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12.3%-ით გაიზარდა და 2,898 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 31.6%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (993.8%) აგრეთვე ესპანეთში (658.0%), ყაზახეთში (393.5%), სომხეთში (191.7%), რუსეთში (38.1%). ხოლო შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (71.7%), ბულგარეთში (58.7%).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (226.4%-ით), სიგარეტების და თამბაქოს (214.8%-ით), სპირტიანი სასმელების (37.4%-ით) ჯგუფებში.





2023 წლის თებერვალში* ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის თებერვალში* საქართველოში ფულადი გზავნილები 103.0%-ით გაიზარდა და 372.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თებერვალში* გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 50.3%) და ევროკავშირის ქვეყნები (24.5%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა რუსეთიდან (753.7%-ით), ყირგიზეთიდან (83.3%-ით), ტაჯიკეთიდან (71.0%-ით), აშშ-დან (44.3%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (35.5%-ით), გერმანიიდან (29.0%-ით) და სხვა.



2023 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვებმა 5,004 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2023 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,004 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 24.1%-ით მეტი, წინა თვესთან მიმართებით კი 6.0%-ით მეტი.

2023 წლის მარტის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციები არ განხორციელებულა.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2023 წლის თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის თებერვალში* სარეზერვო ფულის მასა 9.0%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 22.2%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 8.5%-ს გაუტოლდა. 2023 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 5.3% შეადგინა.





2023 წლის თებერვალში*, წინა თვესთან შედარებით, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა.

2023 წლის თებერვალში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.19%-ული პუნქტით შემცირდა და 52.6%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.32%-ული პუნქტით შემცირდა და 44.5% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2023 წლის თებერვალში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.6%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 0.2%-ით შემცირდა.





2023 წლის თებერვალში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.7%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო სესხებზე 1.0%-ული პუნქტით გაიზარდა.

2023 წლის თებერვალში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.8% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.4%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2023 წლის თებერვლის* მდგომარეობით 6.5% შეადგინა, 1.0%-ული პუნქტით მეტი წინა წლის თებერვალთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

2023 წლის მარტში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის და ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2023 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.3%-ით, ევროს მიმართ 2.7%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 3.1%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 25.3%-ით, ევროს მიმართ 29.2%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 62.8%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების მოცულობამ, ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

2023 წლის მარტში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, 2023 წლის მარტში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 50.5% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (5.4%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის თებერვლის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 14.1%-ით, ხოლო რუსეთში 11.0%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, მარტი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
მარტი, 2023



2023 წლის მარტში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, 2023 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა რუსული რუბლი (42.5%-ით) და სომხური დრამი (28.3%-ით), ხოლო თურქული ლირა (23.1%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		მარ 22	აპრ 22	მაი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იან 23	თებ 23	მარ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	10.6	2.6	11.6	7.2	9.7	10.5	8.8	8.3	9.3	11.0	8.4	5.8	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	24.4	11.7	25.3	20.4	21.9	23.0	19.5	14.8	16.7	16.6	18.8	11.7	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	11.8	12.8	13.3	12.8	11.5	10.9	11.5	10.6	10.4	9.8	9.4	8.1	5.3
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.5	0.5	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.8	2.9	2.8	2.7	2.7	2.7	2.6	2.6
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	193 065.3	308 140.1	505 708.1	427 354.6	306 023.4	334 266.1	387 177.7	501 998.8	521 164.6	535 251.1	444 964.0	372 328.3	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	411.4	415.7	522.6	448.5	542.1	473.3	523.2	448.7	491.1	555.8	459.0	455.9	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	926.1	992.8	1 181.0	1 109.2	1 173.7	1 265.5	1 137.3	1 203.8	1 310.0	1 397.3	1 019.7	963.7	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-514.7	-577.1	-658.4	-660.7	-631.6	-792.2	-614.2	-755.0	-819.0	-841.5	-560.7	-507.9	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4 030.6	3 826.4	3 855.2	3 922.4	4 156.7	4 260.7	4 313.1	4 385.6	4 636.7	4 900.6	4 899.3	4 720.2	5 003.8
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1 731.5	1 263.2	1 697.9	1 707.5	1 424.4	1 356.2	1 680.6	1 688.4	1 898.4	2 151.6	1 858.0	1 555.1	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 413.1	1 350.9	1 377.3	1 277.2	1 510.8	1 158.4	1 312.9	1 296.9	1 561.6	2 090.5	1 357.0	1 422.1	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	304.2	230.5	266.1	445.9	327.5	403.4	624.5	148.0	600.3	1 054.5	185.9	313.1	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ.23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ.23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.